**ფეხბურთი**
**პირველი ფრე**

ამასწინათ მოსკოვში ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და სტალინის "შახტიორის" ფეხბურთელთა გუნდები.

შეხვედრა მწვავე სპორტული ბრძოლით აღინიშნა. ანგარიში გახსნეს "შახტიორის" ფეხბურთელებმა. თბილისელები ბევრს ეცადნენ საპასუხო ბურთის გატანას, მაგრამ ამაოდ. თამაშის მეორე ნახევარში "შახტიორის" გუნდი 11 მეტრიანი დარტყმით დაჯარიმდა. დინამოელებმა ანგარიში გაათანაბრეს. შემდეგ ორივე გუნდი ენერგიის დაუზოგავად ცდილობდა მოგებისათვის მიეღწია, მაგრამ ანგარიში (1:1) უცვლელი დარჩა.

**„ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 აგვისტო 1952 წ.**